



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 40765/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 28 ნოემბერი

საბოლოო ვახდა

28/02/2007

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას

საქმეში: აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ჟ-პ. კოსტა, თავმჯდომარე,
ა.ბ. ბაკა,
მ. უგრეხელიძე,
ე. ფურა-სანდსტრომი,
დ. იოჩიენე,
დ. პოპოვიჩი,
ი. კაბრალ ბარეტო, მოსამართლეები,
და *ს. ნაისმითი,* სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,
2006 წლის 7 ოქტომბერს გამართული კონფიდენციალური თათბირის შემდეგ,
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (n° 40765/02) რომელიც საქართველოს წინააღმდეგ, სასამართლოში, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2002 წლის 25 ოქტომბერს წარადგინა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა *ლეონიდ ტიხონის ძე აპოსტოლმა* („მომჩივანი“).

2. სასამართლოს რეგლამენტის 34-ე (§3 „ა“) და 36-ე (§2) *in fine* მუხლების შესაბამისად, მომჩივანს მიეცა უფლება, თავად წარედგინა საკუთარი საქმე სასამართლოს წინაშე. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან - ბ-ნი *სიმონ პაპუაშვილი*.

3. 2005 წლის 25 აგვისტოს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისათვის საჩივრის შეტყობინება. მომჩივნის პრეტენზია ეფუძნებოდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლს და ეხებოდა 2001 წლის 21 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას. იმავე დღეს, კონვენციის 29-ე (§3) მუხლის საფუძველზე, სასამართლომ გადაწყვიტა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. მთავრობამ წარმოადგინა მოსაზრებები საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის თაობაზე (რეგლამენტის 54-ე („ა“) მუხლი). მომჩივანს არ წარმოუდგენია საპასუხო მოსაზრება, თუმცა მან 2006 წლის 4 იანვარს დაადასტურა თავისი განზრახვა საქმის წარმოების გაგრძელების შესახებ.

5. 2006 წლის 31 იანვარს სასამართლომ გადაწყვიტა გაეგრძელებინა საჩივრის განხილვა არსებული მდგომარეობით.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. მომჩივანი დაიბადა 1939 წელს და ცხოვრობს ქ. ბათუმში, საქართველო.

1. პირველი პროცედურა

7. 2001 წლის 21 დეკემბერს *ბათუმის* საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის მიერ კერძო პირის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი და ამ უკანასკნელს დააკისრა მომჩივნის სასარგებლოდ 2.000 აშშ დოლარის (1.595 ევრო¹) ვალის გადახდა. გარდა ამისა, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 100 ლარის (43,75 ევრო²) გადახდა გაწეული ხარჯების ანაზღაურების სახით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და ძალაში შევიდა.

8. მას შემდეგ, რაც მოვალემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მომჩივანმა სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართა *აჭარის* ავტონომიური რესპუბლიკის („აჭარის ა/რ“) იუსტიციის სამინისტროს.

9. 2002 წლის 27 ნოემბრის წერილით სამინისტრომ მომჩივანს აცნობა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, მას „აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯები“ უნდა გადაეხადა. თუმცა წერილი არ აკონკრეტებდა აღნიშნულ ღონისძიებათა სახეობასა და ღირებულებას.

10. მოცემული დროისთვის მომჩივანი იღებდა ყოველთვიურ პენსიას 45 ლარის (19 ევრო³) ოდენობით, აქედან გამომდინარე, მისთვის შეუძლებელი იყო სააღსრულებო წარმოების წინასწარი ხარჯების დაფარვა. მან აღნიშნული *აჭარის ა/რ* შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში გაასაჩივრა მოვალის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა (სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი) და გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნულმა უწყებებმა მას უპასუხეს, რომ სასამართლო პროცედურაში ჩარევა მათ კომპეტენციაში არ შედიოდა.

11. სამი წლის შემდეგ, 2004 წლის 20 იანვარს, მომჩივანმა მიმართა *აჭარის ა/რ* მინისტრთა საბჭოს - აღმასრულებელ ორგანოს. განმარტა რა, რომ ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო წინასწარ დაეფარა სააღსრულებო ხარჯები, მომჩივანმა გამოთქვა მზადყოფნა, აღნიშნული ხარჯები გადაეხადა კუთვნილი ვალის მიღების შემდეგ.

12. 2004 წლის 12 მარტის პასუხში *აჭარის ა/რ* იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნა, რომ მოვალის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. სამინისტრომ მომჩივანს

¹ 2006 წლის 29 ივნისის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

² Idem.

³ Idem.

შეახსენამ წინასწარი ხარჯების გადაუხდელობა მის სასარგებლოდ გამოტანილი „გადაწყვეტილების აღსრულების აბრკოლებდა“; თუ მომჩივანი გადაიხდიდა აღნიშნულ წინასწარ ხარჯებს, სასამართლო აღმასრულებელი მოიძიებდა მოვალის ქონებას, დააყადაღებდა მას და აუქციონზე გაიტანდა. კანონის 113-ე მუხლზე დაყრდნობით, სამინისტრომ განაცხადა, რომ მომჩივანს შეეძლო გადაეხადა სააღსრულებო წარმოების გადასახადი - სადავო ვალის 7% - აღნიშნული წაროების დასრულების შემდეგ.

13. მომჩივანმა არ გადაიხადა რა მოთხოვნილი წინასწარი ხარჯები, 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება კვლავ აღუსრულებელი რჩება.

2. მეორე პროცედურა

14. მომჩივანს მემკვიდრეობით უნდა მიეღო გარდაცვლილი ძმის ბინა, სადაც ძმის ცოლის ნათესავები ცხოვრობდნენ. მისი, როგორც მემკვიდრის უფლებების დადგენამდე, სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა დროებით ღონისძიებაზე, დაავალა რა უფლებამოსილ სასამართლო აღმასრულებელს სადავო ბინის დაყადაღება და ბინაში არსებული ქონების აღწერა.

15. მემკვიდრედ ცნობის შემდეგ, მომჩივანმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა ნათესავების წინააღმდეგ, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მათ სახლში არსებული ნივთები უკანონოდ მიითვისეს. მთელი რიგი მიმართვების შედეგად, 2002 წლის 3 სექტემბერს, *ბათუმის* საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი და მოპასუხეებს მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ქონების ნაწილის დაბრუნება დააკისრა.

16. საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანმა 2002 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება 2002 წლის 24 სექტემბერს მიიღო (ქვითრის თარიღი ქართულ ენაზეა დაწერილი, რომელიც მომჩივანმა არ იცის). თუმცა მომჩივანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მან ეს დოკუმენტი 2002 წლის 3 ოქტომბერს მიიღო, რასაც თან ახლდა შესაბამისი ქვითარი რუსულ ენაზე.

17. 2002 წლის 28 ოქტომბერს მომჩივანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება და 2002 წლის 3 დეკემბერს სასამართლო ხარჯებისათვის 50 ლარი (21,88 ევრო) გადაიხადა. 2002 წლის 15 ნოემბერს, 2002 წლის 24 სექტემბრის ქვითრის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო ხანდაზმულობის გამო. სასამართლო ხარჯები მომჩივანს დაუბრუნდა დაუდგენელ რიცხვში.

18. მომჩივანმა თხოვნით მიმართა სხვადასხვა სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალურ პირებს, რათა ექსპერტს შეეფასებინა 2002 წლის 24 სექტემბრის ქვითრის ნამდვილობა, მაგრამ უშედეგოდ.

3. მესამე პროცედურა

19. 2001 წლის 8 ივნისს განქორწინების საკითხებზე მიმდინარე სამართალწარმოებისას, *ბათუმის* საქალაქო სასამართლომ დაადგინა რომ 2-ოთახიანი ბინა, რომელშიც მომჩივანი და მისი მეუღლე ქორწინების განმავლობაში ცხოვრობდნენ, მათ საერთო ქონებას წარმოადგენდა. განქორწინების შემდეგ, სასამართლომ მომჩივნის ყოფილ ცოლს სადავო ბინაში ერთი ოთახი დაუკანონა. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე ასაჩივრებდა მის დაუსწრებლად საქმის განხილვას. 2001 წლის 16 აგვისტოს სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნა რა, რომ საქმის განხილვას საქალაქო სასამართლოში ესწრებოდა მომჩივნის წამომადგენელი, მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

20. 2001 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, მომჩივნის დეიდა გამოსახლებულ იქნა იმ ოთახიდან, რომელიც მომჩივნის ყოფილ ცოლს გადაეცა.

4. მეოთხე პროცედურა

21. 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, *ბათუმის* საქალაქო სასამართლომ მომჩივანი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარა და მისი რეაბილიტაციის ბრძანება გასცა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 1-ლი იანვრის ბრძანებულებით, საქართველოს რეაბილიტირებულ მოქალაქეებს გარკვეული სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვთ მინიჭებული. აღნიშნული შეღავათების მოთხოვნით მომჩივანმა აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ოფიციალურ პირებს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

22. კონსტიტუცია

მუხლი 42§1

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

მუხლი 89§1 (ვ)

“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, [...] მოქალაქის სარჩელის საფუძველზე, იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით.“

მე-2 თავში, რომელიც შედგება 12-47 მუხლებისაგან, ჩამოთვლილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

23. იმ დროისათვის ძალაში მყოფი 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

მუხლი 20

„კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

მუხლი 39§1 (2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებით)

„საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.“

24. იმ დროისათვის ძალაში მყოფი, 1996 წლის 21 მარტის კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

მუხლი 18 (ე)

“კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით.”

25. იმ დროისათვის ძალაში მყოფი, 1999 წლის 16 აპრილის კანონი “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ”

მუხლი 5§1 - სააღსრულებო ბიურო

„ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს ადასრულებენ სასამართლო აღმასრულებლები, რომელთა სამუშაო ადგილია სააღსრულებო ბიურო.“

მუხლი 10§1 – სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ხარჯები...

„სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ხარჯების ოდენობა განისაზღვრება სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშებით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღსრულების მიმდინარეობის პროცესში.“

მუხლი 11 – დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს. სასამართლო აღმასრულებელი აღსრულებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული თანხებით...“

მუხლი 17 § 1 და 5 – სასამართლო აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი

„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.“

მუხლი 26 (2000 წლის 5 დეკემბრის ცვლილებით) – სააღსრულებო მოქმედებების დაწყება

„სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს კრედიტორის მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე.“

მუხლი 38§1 – მოვალის მიერ ხარჯების გაღების ვალდებულება

„აღსრულების ხარჯები ეკისრება მოვალეს. ისინი ამოღებულ უნდა იქნეს აღსასრულებელ პრეტენზიასთან ერთად.“

მუხლი 39 § 1 და 2 – აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები

1. ხარჯების სახით ამოიღება:
- ა) იმ პირებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, რომელთა მოწვევაც აუცილებელი იყო კარების ან საცავის გახსნისათვის;
 - ბ) ნივთების შესანახად გადასახდელი თანხები;
 - გ) ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საჯაროდ გამოცხადებისას;
 - დ) ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა მოვალის დაკავებით;
 - ე) აუქციონის ჩატარების ხარჯები.
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიძლება დადგინდეს სხვახარჯებიც.

26. იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 25 ნოემბრის №100 ბრძანების 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილის გარდა, ხარჯები, გამოწვეული ა) საბანკო მომსახურებით, ბ) მოვალის ქონების მოძიებით, გ) ანგარიშგების შემოწმებით, დ) მოძრავი ქონების ტრანსპორტირებით და ე) სატელეფონო და საფოსტო მომსახურებით, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 113§1- სააღსრულებო მოსაკრებელი

1. „სააღსრულებო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე დაწესდეს მოსაკრებელი თანხის გადახდევინებაზე და მისი ოდენობა განისაზღვროს ამოღებული თანხის 7%-ით. კრედიტორი მოსაკრებელს იხდის თანხის ამოღების შემდეგ.”

27. საქართველოს კანონი „სააღსრულებო მოსაკრებლების შესახებ“ დღემდე მიღებული არ არის.

28. სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 381

„ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებლის მიერ [ისჯება]...“

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მუხლი 268. §1 ა)-დ) დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

- ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;
- ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;
- გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;
- დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

III. ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია“)

30. 1999 წლის 19 აპრილს ვენეციის კომისიამ მიიღო დასკვნა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონებში შესატან საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტის შესახებ:

(სამდივდნოს თარგმანი)

„უნდა ვაღიაროთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხასიათდება გარკვეული გაურკვევლობით მათ აღსრულების თვალსაზრისით. აღნიშნული სირთულის გადასაწყვეტად, ქართველ კანონმდებელს შეეძლო, გამოეყენებინა გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლის 35-ე მუხლის თანახმად: „*ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, თავის გადაწყვეტილებაში, განზაზღვროს, თუ ვინ უნდა*

აღსრულოს ის; მას ასევე შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, განსაზღვროს აღსრულების მეთოდი.“

31. ვენეციის კომისიის დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სასამართლო ხელისუფლების რეფორმას ეხება (62-ე პლენარული სხდომა, ვენეცია, 2005 წლის 11-12 მარტი):

„22. [კონსტიტუციის] არსებული 89-ე მუხლი უკვე ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ინდივიდუალური „არარეალური“ სარჩელით (გერმანულ დოქტრინაში გამოყენებული ტერმინი) მიმართვის უფლებას ნორმატიული აქტების წინააღმდეგ. ამასთანავე, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 89.1.“ვ“ მუხლის პროექტი აღნიშნული უფლების ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ, ზოგადად, პირებისთვის.

23. ამასთანავე, 89.1.“ვ“ მუხლის პროექტი საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს საშუალებას განიხილოს „ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, ინდივიდის ან სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე.“ ამრიგად, აღნიშნული პროექტი ამატებს „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელის არსებობის შესაძლებლობას ინდივიდუალური აქტების - სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

24. აღნიშნული დებულება ძლიერ აფართოვებს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციასა და უფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ეძლევა ჩვეულებრივი საამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება, როდესაც ეს უკანასკნელი ეხება ადამიანის უფლებებს. ინდივიდის მოთხოვნის საფუძველზე გადასინჯვის უფლებამოსილების განხორციელების აღნიშნული შესაძლებლობა ქმნის II თავით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელების ძლიერ ინსტრუმენტს.“

სამართალი

I. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

ა. მისაღებობა

I. პირველი პროცედურა

32. პირველ პროცედურასთან დაკავშირებით, მომჩივანი ასაჩივრებს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების უარს 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის თანახმად:

„თავისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას..., ყველას აქვს ... სასამართლოს... მიერ საქმის სამართლიანი მოსმენის ... უფლება ...“

33. მთავრობა ამტკიცებს, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, რასაც კონვენციის 35-ე (§1) მუხლი მოითხოვს. მან განაცხადა, რომ კონსტიტუციის 42-ე (§1) მუხლი ნებისმიერი პირისთვის

უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. შესაბამისად, თუ თანხის გადახდის ვალდებულება სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე არღვევდა მომჩივნისთვის კონსტიტუციის 42-ე (§1) მუხლით მინიჭებულ უფლებას, მომჩივანს, მთავრობის მტკიცებით, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უნდა მიემართა (კონსტიტუციის 89-ე მუხლი) და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის გაუქმება მოეთხოვა.

34. მომჩივანმა არ უპასუხა მთავრობის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას (იხ. ზემოთ §§ 4 და 5).

35. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით, მომჩივნის ხელთ არსებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საკმარისი, რათა მას გასაჩივრებულ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობა (*Barszcz c. Pologne*, n° 71152/01, §41, 30 mai 2006). ამასთანავე, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, კონვენცია ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილებას. თავდაპირველად, მთავრობას, რომელიც ეყრდნობა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შესახებ არგუმენტს, ეკისრება ვალდებულება, დაარწმუნოს სასამართლო, რომ არ იყო ამოწურული მომართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, რათა დაარწმუნოს სასამართლო, რომ ფაქტების დადგომის პერიოდში მიმართვის საშუალება იყო ეფექტიანი და გამოყენებადი როგორც თერიაში, ისე პრაქტიკაში, ანუ იყო ხელმისაწვდომი და მომჩივანს აძლევდა მისი პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებას და შეიცავდა წარმატების გონივრულ პერსპექტივას (იხილეთ, სხვათა შორის, *Sejdic c. Italie* [GC], n° 56581/00, §46, CEDH 2006-II, et *Vernillo c. France*, 20 février 1991, §27, série A n° 198). მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულების წარდგენის შემდეგ ეკისრება მომჩივანს, დაამტკიცოს, რომ გარკვეული განსაკუთრებული გარემოებები მას ათავისუფლებს აღნიშნული ვალდებულებისგან (*Merit c. Ukraine*, n° 66561/01, §57, 30 mars 2004).

36. მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტური არ არის; მისი დაცვის კონტროლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის გარემოებები (იხ. *Van Oosterwijck c. Belgique*, 6 novembre 1980, §35, série A n° 40). ეს კი კერძოდ ნიშნავს, რომ სასამართლომ რეალისტურად უნდა მიიღოს მხედველობაში არა მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში თეორიულად არსებული მიმართვის საშუალებები, არამედ ასევე იურიდიული და პოლიტიკური კონტექსტი, რომლებშიც ისინი მოქმედებს, ისევე როგორც მომჩივნის პირადი მდგომარეობა (იხ. *Akdivar et autres c. Turquie*, 16 septembre 1996, §§ 65-69, *Recueil des arrêts et décisions* 1996-IV).

37. მოცემულ საქმეში, მომჩივნის მიერ წამოყენებული პრეტენზია ემყარება ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებული იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 (§1) მუხლის გაგებით (იხ. *Hornsby c. Grèce*, 19 mars 1997, §40, *Recueil* 1997-II).

38. სასამართლო ასკვნის, რომ არც მთავრობის მიერ მითითებული კონსტიტუციის 42-ე (§1) მუხლი და არც კონსტიტუციის რაიმე სხვა დებულება არ ითვალისწინებს გარანტიას სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის წინააღმდეგ, რომელიც სულ მცირე, მიახლოებით მაინც შეიძლება შეედაროს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ გარანტიას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლის შინაარსი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ნამდვილად უზრუნველყოფს სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, მთავრობას არ მიუთითებია საკონსტიტუციო სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც დაასკვნოდა, რომ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილის მსგავსი გარანტია აღუსრულებლობის წინააღმდეგ.

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 89-ე (§1 „ვ“) მუხლისა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-19 (§1 „ე“) მუხლის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი *ratione materiae* შეუსაბამოა კონსტიტუციის დებულებებთან, როდესაც ის არ ეფუძნება კონსტიტუციურ უფლებას და რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-18 („ე“) მუხლის საფუძველზე, ის ვერ იქნება არსებითად განხილული. ასეთ პირობებში და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რომ სასამართლოს ამიცანა არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ჩანაცვლება კონსტიტუციის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ის ვერ დაასკვნის, რომ მომჩივანს წარმატებით გაესაჩივრებინა უმაღლესი სასამართლოსგან მოეთხოვა სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კონსტიტუციური უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მთავრობა ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან წარმოადგენდა ასეთი უფლების არსებობის მტკიცებულებას.

40. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 89-ე (§1 „ვ“) მუხლი ინდივიდებს რთავს ნებას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ შეიტანონ ეგრეთ წოდებული „აბსტრაქტული“ სარჩელით (იხ. §§ 22, 23 და 31 ზემოთ). კონკრეტულად, ეს ნიშნავს იმას, რომ მომჩივნებს შეუძლიათ გაასაჩივრონ მოქმედი კანონის კონსტიტუციურობა მაშინაც კი, როცა მისი განხორციელება მათზე გავლენას არ ახდენს. სამაგიეროდ, მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ პირად მდგომარეობაზე.

41. ზემოხსენებული მიმართვის კონსტიტუციური საშუალება უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საშუალების მსგავსია, რომელიც სასამართლომ კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის არაეფექტიან საშუალებად მიიჩნია, რადგან უნგრეთის უმაღლესი სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის აბსტრაქტული კონტროლით სახელმწიფოს მიერ კერძო პირებთან მიმართებით გატარებული ინდივიდუალური ღონისძიებების გაუქმების ან შეცლის შესაძლებლობის გარეშე (იხ. *Vén c. Hongrie*, n° 21495/93, კომისიის 1993 წლის 30 ივნისის განჩინება, არ გამოქვეყნებულა).

42. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება ასევე განსხვავდება მაგალითად გერმანიის, ესპანეთისა და ჩეხეთის პრაქტიკისგან. ამ ქვეყნებში არსებობს მიმართვის „სპეციფიკური“ კონსტიტუციური საშუალებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოასწოროს ოფიციალურ უწყებათა მიერ უფლებათა დარღვევები ან კიდევ, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა წარმოადგენს არა გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგს, აუკრძალოს შესაბამის უწყებას, განაგრძოს აღნიშნული უფლების დარღვევა და მიუთითოს მას, რომ თუ კი ეს შესაძლებელია, აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა - *statu quo ante* (*Hartman c. République tchèque*, n° 53341/99, §49, CEDH 2003-VIII, et *Sürmeli c. Allemagne* [GC], n° 75529/01, §62, CEDH 2006-VII). აღნიშნული მიმართვის საშუალება ასევე იძლევა იმ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას, რომელთა მყისიერი და პირდაპირი საფუძველი სასამართლო ორგანოს ქმედებაზე ან უმოქმედობაში მდგომარეობს იმ ფაქტებისგან დამოუკიდებლად, როლებიც საფუძველად დაედო საქმის წარმოებას; არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება იწვევს სასამართლოების ან სახელმწიფო უწყებების მიერ, აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული ყველა საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას (იხ. *Riera Blume et autres c. Espagne* (déc.), n° 37680/97, CEDH 1999-II, et *Voggenreiter c. Allemagne*, n° 47169/99, §23, CEDH 2004-I).

43. ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე (იხ. ზემოთ, 30-ე და 31-ე პარაგრაფებში მოცემული ვენეციის კომისიის დოკუმენტები). „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას. მსგავს ფორმულირებას შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოედის შეწყვეტაც კი არ შეუძლია, ის მხოლოდ მისი აღსრულების შეჩერებას იწვევს

44. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 უხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას (იხ. *Merit*, ხსენებული ზემოთ, §59 და *Deweert c. Belgique*, 27 février 1980, §29, série A n° 35). მოცემულ საქმეში, გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია მიუთითოს კომპეტენტურ უწყებებს, აღასრულონ გადაწყვეტილება, ზუსტად შეუძლებელია იმის ცოდნა, გამოიწვევდა თუ არა მომჩივნის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის გაუქმების მოთხოვნით შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი აღსრულებლობის პრობლემის სწრაფ და პირდაპირ მოგვარებას.

45. ამ თვალსაზრისით სასამართლო შეახსენებს, რომ გერმანიისა და ჩეხეთის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოებისადმი მიმართვის საშუალება, რომელიც, ზოგადი წესის თანახმად, აკმაყოფილებს კონვენციის 35-ე (§1) მუხლის მოთხოვნებს, არაეფექტიან მიმართვის საშუალებებად იქნა მიჩნეული „ხანგრძლივი სამართალწარმოების“ საქმეებში, რადგან თუკი აღნიშნულ სასამართლოებს შეუძლიათ დაადგინონ კონსტიტუციური დებულების დარღვევა რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, მათ არ აქვთ კომპეტენცია, ზუსტი მითითებები გასცენ გაჭიანურებული პროცედურის დაჩქარების შესახებ და არც იმისი შესაძლებლობა, მიაკუთვნონ კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებიდან გამომდინარე ზიანისთვის (იხ. *Sürmeli*, ხსენებული ზემოთ, §§ 105 et 106, et *Hartman*, ხსენებული ზემოთ, §§ 67-83).

46. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოში ამჟამად არსებული მიმართვის ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის სისტემა დამაჯერებლობის საკმარისი მოცულობით ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფუძველზე წამოყენებული საჩივრის დაკმაყოფილების სათანადო საშუალებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის შეიცავს ეფექტიან მექანიზმს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებების კონკრეტული დარღვევის პირდაპირი და სპეციფიკური გამოსწორების საშუალებას (იხ. *a contrario*, *Sürmeli*, ხსენებული ზემოთ, §103; იხ. აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Horvat c. Croatie*, n° 51585/99, §44, CEDH 2001-VIII, და *Vodeničarov c. Slovaquie*, n° 24530/94, §§ 43 et 44, 21 décembre 2000).

47. მაშასადამე, მთავრობის მიერ 1-ლ პროცედურასთან დაკავშირებით წამოყენებული პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს. არ არსებობს რაიმე სხვა მოტივი, რომლის გამოც საჩივრის ეს ნაწილი მიუღებლად უნდა იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, სასამართლო მას მისაღებად აცხადებს.

II. საქმისწარმოების მეორე და მესამე ეტაპები

48. რაც შეეხება საქმისწარმოების მეორე ეტაპს, მომჩივნის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია ექსპერტიზის დასკვნის მიღება 2002 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ ქვითარზე. ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინება 2002 წლის 15 ნოემბერს გამოიტანა, ანუ ვიდრე შესაბამისი სასამართლო ხარჯების გადახდა მოხდებოდა 2002 წლის 3 დეკემბერს, მომჩივანი მიუთითებს, რომ განჩინება გაყალბებულია. შემდეგ, ის ეჭვქვეშ აყენებს საქმისწარმოების მესამე ეტაპის სამართლიანობას, რადგან სასამართლო მოსმენა, რომელსაც მისი ადვოკატი ესწრებოდა, მის გარეშე გაიმართა.

49. სასამართლო აღნიშნავს, ერთად აღებული საქმისწარმოების მეორე და მესამე ეტაპის შეფასებისას, საქმეში არ არის გამოვლენილი რაიმე, რაც მიუთითებდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევაზე (*Mialhe c. France* (n° 2), 26 septembre 1996, §43, *Recueil* 1996-IV) და მიიჩნევს, რომ მომჩივნის პრეტენზიები აშკარად

უსაფუძვლოა. ამდენად, კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის თანახმად, საჩივრის ეს ნაწილი მიუღებლად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა მარგუმენტები

50. მთავრობა ამტკიცებს, რომ მომჩივნის უფლება, მინიჭებული კონვენციის მე-6 (§1) მუხლით, არ დარღვეულა.

51. უფრო კონკრეტულად კი, მთავრობამ განაცხადა, რომ „სააღსრულებო წარმოება შესახებ“ კანონის 38-ე და 39-ე მუხლების, ასევე იუსტიციის მინისტრის №100 ბრძანების 1-ლი პუნქტის თანახმად, აღსრულების კონკრეტულ ზომებთან დაკავშირებულ ხარჯებზე პასუხისმგებლობა მოვალეს ეკისრებოდა. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხარჯების დაფარვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ განაჩენის აღსრულების შედეგად, მომჩივანს პირობითად უნდა დაეფარა, „სააღსრულებო წარმოება შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, *„გარკვეული ხარჯები, რომლებიც აუცილებელი იყო აღსრულების წარმოების ტექნიკური ორგანიზებისათვის“*. მთავრობა შემდგომში ირწმუნებოდა, რომ ხარჯები, რომელიც თავიდან მომჩივანს ეკისრებოდა, სრულად დაუბრუნდებოდა მას გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ. საბოლოოდ, მათ განაცხადეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, რადგან ის არ მიეკუთვნებოდა „სააღსრულებო წარმოება შესახებ“ კანონის 11-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა კატეგორიას.

52. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ „სააღსრულებო წარმოება შესახებ“ კანონის 113-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, მომჩივანს უნდა გადაეხადა გადაწყვეტილებით დადგენილი ვალის 7%, როგორც სააღსრულებო მოსაკრებელი.

53. მომჩივანმა მთავრობის არგუმენტებს არ უპასუხა (იხ. §§ 4 და 5)

2. სასამართლოს შეფასება

54. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Goldier c. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A n° 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული

უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ § 40 და შემდგომ).

55. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი იმის შესახებ, აუნაზღაურდებოდა თუ არა მომჩივანს სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ წინასწარ გადახდილი ხარჯები, არ არის კავშირში მის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიაში აღწერილ სიტუაციასთან. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ აღსრულებასთან დაკავშირებული თანხის წინასწარ გადახდის ვალდებულებამ ხელი შეუშალა მომჩივანს საბოლოო გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ აღსრულებულიყო.

56. ვინაიდან აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია (*Bourdov c. Russie*, n° 59498/00, §34, CEDH 2002-III), სასამართლო თვლის, რომ პირის უფლება სასამართლო განხილვაზე, „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ განსაზღვრისთვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობასთან ერთად (*Kreuz c. Pologne (n° 1)*, n° 28249/95, §§ 53 et 54, CEDH, 2001-VI), თანაბრად იცავს ამ პირის უფლებას სააღსრულებო წარმოებათა ხელმისაწვდომობაზეც (იხ., *mutatis mutandis, Manoilescu et Dobrescu c. Roumanie et Russie* (déc.), n° 60861/00, CEDH 2005-VI), ანუ უფლება ამგვარი პროცედურის დაწყებაზე.

57. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აბსოლუტური არ არის და ის შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვების საგანი გახდეს; ეს შესაძლებელია იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას თავისი არსით სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ დაწესებული შეზღუდვებით არ დაირღვევა ან შემცირდება პირის უფლება ხელმისაწვდომობაზე იმგვარად ან ისეთი მასშტაბით, რომ უფლების არსი დაირღვეს. შეზღუდვა ვერ მოვა შესაბამისობაში მე-6 (§1) მუხლთან თუ ის არ მოემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ იარსებებს პროპორციულობის გონივრული კავშირი დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის (იხ. *Waite et Kennedy c. Allemagne* [GC], n° 26083/94, §59, CEDH 1999-I).

58. სასამართლო შენიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლზე დაყრდნობით, კომპეტენტურმა ოფიციალურმა პირებმა, „წინასწარი ხარჯების“ გადახდის ვალდებულების ფორმით, მომჩივანს ფინანსური შეზღუდვა დააკისრეს. აღნიშნული „წინასწარი ხარჯები“, რომლებიც ზღუდავს სააღსრულებო წარმოებაზე ხელმისაწვდომობას, იმ წესს მოგვაგონებს, რომლის მიხედვით სამოქალაქო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა სასამართლო ბაჟის გადახდაზეა დამოკიდებული.

59. ამ კითხით, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა განისაზღვროს, ისარგებლა თუ არა პირმა ხელმისაწვდომობის უფლებით, მოთხოვნილი თანხების რაოდენობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად, მათ შორის, მომჩივნის გადახდისუნარიანობისა და

პროცესის იმ ეტაპის გათვალისწინებით, რომელზეც შეზღუდვა იქნა დაწესებული (*Kreuz*, ხსენებული ზემოთ, §60).

60. წინამდებარე საქმეში სადავო ფინანსური შეზღუდვები მომჩივანზე არ დაწესებულა არც პირველ ინსტანციაში, არც სააპელაციო განხილვის ეტაპზე და ამდენად, კავშირში ვერ იქნება მისი საჩივრის არსთან, ან წარმატების პერსპექტივასთან - მოსაზრებებთან, რომლებმაც შეიძლება გაამართლოს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვა (იხ, *a contrario*, *Tolstoy Miloslavsky c. Royaume-Uni*, 13 juillet 1995, §§ 61 et suiv., série A n° 316-B). ამის საპირისპიროდ, მომჩივნის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო და აღსრულებადი გადაწყვეტილების არსებობა ადასტურებს, რომ მომჩივნის სარჩელი სათანადოდ დასაბუთებული იყო. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დაკისრებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებს და მართლმსაჯულების ინტერესების თვალსაზრისით სერიოზულ შესწავლას მოითხოვს (იხ. *Podbielski et PPU Polpure c. Pologne*, n° 39199/98, §65, 26 juillet 2005).

61. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას არ განუმარტავს თუ რა იყო მომჩივნისთვის გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო თანხის გადახდის დაკისრების მიზანი. მათ მხოლოდ აღნიშნეს, რომ ხსენებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს დაფინანსებით აღსასრულებელი გადაწყვეტილებების კატეგორიაში არ შედიოდა. თუ მომჩივანი დაინტერესებული იყო განაჩენით დადგენილი ვალის მიღებით, მაშინ მას თავად უნდა უზრუნველყოფილიყო ფინანსურად აღსრულებისთვის საჭირო პროცედურის განხორციელება (იხ. §51).

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, არც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი *in fine* და არც რომელიმე სხვა დებულება არ განსაზღვრავს, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების რომელი ნაწილი ან რა ზომებისათვის არის დაკისრებული მევალეზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში ასევე არ არის მითითებული, რომ მევალის მიერ წინასწარ გაღებული ხარჯები მთლიანად უნდა ანაზღაურდეს აღსრულების შემდგომ. გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები მომჩივნისათვის გაგზავნილ წერილებში ამ საკითხებს ამაზე მეტად არ განმარტავდნენ. ისინი არ განსაზღვრავდნენ თუ რა თანხა უნდა გადაეხადა მომჩივანს და რომელი კონკრეტული ზომებისათვის. ისინი პირდაპირ (ზოგადად) აცხადებდნენ, რომ მომჩივნის მიერ წინასწარი ხარჯების დაფარვის შემდეგ, სასამართლო აღმასრულებელი განსაზღვრავდა მოვალის აქტივებს და მათ აუქციონზე გაიტანდა (იხ. §§ 9 და 12). მომჩივნის განცხადება მისი ხელმოკლეობის შესახებ უპასუხოდ დარჩა.

63. იმ შემთხვევაშიც კი თუ ვივარაუდებთ, რომ არსებობს ისეთი გარკვეული გარემოებები, რითაც აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილის მევალეებისათვის დაკისრება გამართლებული იქნებოდა, სასამართლო შენიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 113-ე მუხლით, მევალეს ეკისრება პასუხისმგებლობა, გადაიხადოს თანხა, რომელიც შეადგენს სასამართლოს

გადაწყვეტილებით ამოღებული თანხის 7%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი, რომელსაც არ შეეძლო გადაეხადა წინასწარი ხარჯები თავისი ხელმოკლეობის გამო, მზად იყო გადასახადი გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ გადაეხადა (იხ. §11).

64. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული ეფექტიანი უფლების დაცვის ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს მხოლოდ ჩაურევლობას, არამედ შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების გატარება მოითხოვოს (*Kreuz*, ხსენებული ზემოთ, §59). სასამართლო მიიჩნევს, რომ აღსრულების პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულების მომჩივანზე დაკისრებით, სახელმწიფო შეეცადა, თავი აერიდებინა მისი პოზიტიური ვალდებულებისთვის – მოეხდინა ისეთი სააღსრულებო სისტემის ორგანიზება, რომელიც ეფექტიანი იქნებოდა, როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. (*Fouklev c. Ukraine*, n° 71186/01, §84, 7 juin 2005).

65. ზემოაღნიშნული მოსაზრებების თანახმად, სახელმწიფოს წარმომადგენლების პოზიცია გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისათვის საჭირო ხარჯების მომჩივნისათვის დაკისრების მიმართ, მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, მძიმე ტვირთად აწვება მომჩივანს და ზღუდავს მის უფლებას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობაზე იმ დოზით, რომ აღნიშნული უფლების ნამდვილი არსი ირღვევა.

66. შესაბამისად, ადილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის სხვა სავარუდო დარღვევები

67. კონვენციის 1-ლი, მე-13, მე-14 და მე-17 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი ჩივის, რომ საქმისწარმოების მე-2 ეტაპზე, სასამართლო აღმასრულებელმა მისი დასწრების გარეშე მოახდინა შინამეურნეობის ქონების ინვენტარიზაცია, რის გამოც ის იძულებული გახდა სახელმწიფო გადასახადი გადაეხადა უსახსრობის მიუხედავად. იმავე გარემოებებზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებს განხილვის მე-3 ეტაპზე მისი დეიდის იძულებით გამოსახლებას და საქმისწარმოების მე-4 ეტაპს ასაჩივრებს იმ კუთხით, რომ სოციალური შეღავათები არ მიუღია.

68. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივნის პრეტენზია, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-6 (§1) მუხლიდან და უკავშირდება საქმისწარმოების მე-2 და მე-2 ეტაპებს, მიუღებლად გამოცხადდა (იხ. §49). მოცემული საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ კონვენციის 1-ლ, მე-13, მე-14 და მე-17 მუხლებთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი შეკითხვა არ წამოიჭრება საქმისწარმოების მე-2, მე-3 და მე-4 ეტაპების მიმართ. ამდენად, საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და კონვენციის 35-ე მუხლის (§§ 3 და 4) შესაბამისად, უარყოფილ უნდა იქნეს.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

69. კონვენციის 41 მუხლს თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

70. მომჩივანს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაუყენებია; ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მისთვის რაიმე თანხის გადაცემის საბაზი არ არსებობს. (*Fadil Yilmaz c. Turquie*, n° 28171/02, §26, 21 juillet 2005).

71. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო დაადგენს კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაღვევას, მოპასუხე სახელმწიფოსთვის წარმოქმნის სამართლებრივ ვალდებულებას, არა მარტო გადაიხადოს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით დაკისრებული თანხა, არამედ ასევე, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, შეარჩიოს ინდივიდუალური ან/და შესაბამის შემთხვევაში ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც შიდასამართლებრივ სისტემაში უნდა გატარდეს კონვენციის დაღვევების აღმოფხვრის მიზნით. მოპასუხე სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გამოასწოროს დარღვევიდან გამომდინარე ყოველგვარი შედეგი, იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად აღდგეს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა. ამას გარდა, კონვენციიდან, კერძოდ კი მისი I-ლი მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მისი რატიფიცირებისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან. ამდენად, მოპასუხე მთავრობა ვალდებულია, აღმოფხვრას შიდა საკანონმდებლო სისტემაში არსებული ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის მომჩივნის მდგომარეობის ადეკვატურ გამოსწორებას (იხ. *Assanidzé c. Géorgie* [GC], n° 71503/01, §198, CEDH 2004-II, et *Maestri c. Italie* [GC], n° 39748/98, §47, CEDH 2004-I).

72. არსებულ საქმეზე საკუთარი დასკვნის გათვალისწინებით, ასევე აღსრულების არსებული სისტემის გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი სხვა შესაძლო ზომებისთვის ზიანის მიყენების გარეშე (იხ. *mutatis mutandis, Papamichalopoulos et autres c. Grèce* (article 50), 31 octobre 1995, §34, série A n° 330-B), სასამართლოს მიაჩნია, რომ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის პროცესის დასრულება. (იხ. სხვებს შორის, *Plotnikov c. Russie*, n° 43883/02, §33, 24 février 2005).

73. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ, სათანადო საშუალებებით, უნდა უზრუნველყოს 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს მისაღებად საჩივრის იმ ნაწილს, რომელიც უკავშირდება 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, ხოლო დანარჩენ ნაწილს - დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას;

3. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, სათანადო საშუალებებით უნდა უზრუნველყოს 2001 წლის 21 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2006 წლის 28 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის (§§ 2 და 3) შესაბამისად.

ს. ნაისმიტი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

ქ-პ კოსტა
თავმჯდომარე